# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 25 სამშაბათი, 2 თებერვალი 1910 წ. № 25

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

**კედლის კალენდარი 1910 წლის**

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А", И. С. Агладзе.

წარმოდგენა № 32. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 32.

სამშაბათს, 2 თებერვალს 1910 წელს

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: გ. დიმოვის პიესა.

I.

**ისმინე ისრაილ**

დრამა 3 მოქმედებად თარგ. ე. შალიბაშვილისა.

II.

**შეშლილის წერილები**

ნ. გოგოლისა.

რუსულად წაიკითხავს ვლ ალექსი-მესხიშვილი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

7 თებერვალს ბენეფისი მ. მდივნისა წარმოდ. იქნება შალომ აშისა „შურის ძიების ღმერთი", და ივ. გომართლის პიესა „დრამატიული გამგეობის წევრი".

მზადდება წარმოსადგენად: „დანაშაული და სასჯელი" და „ნამუსისათვის".

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**მაღალაშვილი ვ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—99)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—261)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

**სამკურნალო**

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ციტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—97)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^{1}/_{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროტერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—22)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—49

**ექიმი** მ. დ ბეთანოვი ქუთაისში,

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—7)

**ექიმი** შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კამერლოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—15)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—12)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გიმნაზიის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—3

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—357)

**ექიმი** გ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიზეილის პრ., N 36, საზ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—86)

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—6)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—90)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—106)

**ვექილობა დაცვას**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საპაკეტო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. მაქვს ოცი წლის გამოცდილება. მიიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—33)

**ჟურნალების** „სხივი"-ს „თეატრი და ცხოვრება"-ს, და „საქართველოს მოამბე"-სათვის საჭირო აგენტები: გორში მიხაილოვში, შორაპანში, ჭიათურაში, ყვირილაში, რიონში, ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, ახალ-სენაკში, ნიგოითში, ლანჩხუთში, ბათუმში, ოზურგეთში, განჯაში, ალექსანდროპოლში, აჯიკაბულში, ბალაჯარაში, ბაქოში და სხვაგან.

მსურველებმა შეგვატყობინონ დაუყონებლივ შემდეგი ადრესით: Тифлисъ типографія „Печатное дѣло" Вельяминовская ул. № 6. Поліевкту Антоновичу Каландадзе.

საჭიროა ორი ნომრის საფასეს წინ და წინ წარმოდგენა. (2—1)


## ჟურნალისტების მოსყიდვა

კვირის „ნოვაია რეჩში" დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

ამ ერთი წლის წინად რუსულ ჟურნალისტებს, ლ. ყიფიანს, ვლად. ნაგურსკის და ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანს სერგეის ზურაბის ძე მირზოევს დაუარსებიათ ტფილისში „სინდიკატი პრესსისა უცხოელთა კაპიტალისტების და მათი საქმეების დასაცველად ჩვენს ქვეყანაში". ამ „სინდიკატის" სახელით და იმ რწმუნების ძალით, რომელიც ყიფიანსა და ნაგურსკის მირზოევისთვის მიუციათ, ამ უკანასკნელს ბრიუსელში უსახელო საზოგადოების მთავარ გამგეობასთან პირობა დაუდვია, რომლის ძალითაც უსახელო საზოგადოება ხსენებულ „პრესის სინდიკატს" აძლევდა თვეში 1000 ფრანკს (350 მან.). ამ ფულიდან ლევან ყიფიანი იღებდა თვეში 120 მანეთს, ნაგურსკი 90 მან. დანარჩენი ფული „კურიერის" სხვა თანამშრომელთ ეძლევოდათ. ხელშეკრულობაში ნათქვამია თურმე, თუ ქალაქის გამგეობა დასთანხმდა უსახელო საზოგადოების შუამდგომლობას და ტრამვაის გამოსყიდვის ვადა გადასდო, „სინდიკატი" სამის წლის განმავლობაში მიიღებს თვეში 1000 ფრანკსაო.

ამ ამბავმა, რასაკვირველია, მთელი სენსაცია მოახდინა ტფილისში. პირველმა ამას ყურადღება მიაქცია ჟურნალისტთა საზოგადოებამ. ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში 31 იანვრისთვის დანიშნული იყო კრება ამ საზოგადოებისა. თავმჯდომარემ კრება მომავალ კვირისათვის გადასდო, რადგან კანონიერი რიცხვი წევრებისა არ დაესწრო. სამაგიეროდ, მოხდა სხდომა საზოგადოების გამგეობისა, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელნი ჟურნალ-გაზეთებისა. ამავე სხდომას დაესწრო წევრი საზოგადოებისა ტფ. ქალაქის თავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი. გამგეობის თავმჯდომარემ გრუზენბერგმა სთქვა: დღეს ჩვენი სხდომის მიზანი ის არის, რომ გამოვარკვიოთ და შემდეგ ჟურნალისტთა საზოგადო კრებას მოვახსენოთ, რამდენად მართალია გაზეთებში აღნიშნული ცნობები, რომ ტფილისში შესდგა ამხანაგობა „პრესის სინდიკატი" გაზეთ „ეჟენედელნოე ობოზრენიეს" სახით, რომელიც მოსყიდული ყოფილა ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან თავის ინტერესების დასაცველად. როგორც გაზეთებშია აღნიშნული, ამ სინდიკატში შედიან ქალაქის საბჭოს ხმოსანი სერგეი ზურაბის ძე მირზოევი და „ჟურნალისტები" ლევან ყიფიანი და ვლადიმერ ნაგურსკი. ვლ. ნაგურსკი წევრია ჟურნალისტთა საზოგადოებისა.

ამაზე ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა შემდეგი განაცხადა: „ამ ორი კვირის წინად ტფ. საარტისტო საზოგადოების დარბაზში ტრამვაის დირექტორმა ბ-ნმა ბატაილმა გულნატკენად სთქვა: ტფილისის პრესის ერთი ნაწილი ბელგიის უსახელო საზოგადოების ფულით საზრდოობს და გაკვირვებასა ვარ, რომ ტფილისის გაზეთები უსახელო საზოგადოებას და მის არჩეულ პირთა წინაამდეგ ილაშქრებენ. გაზ. „ეჟენ. ობოზრენიემ", რომლის წარმომადგენელად ხმოსანი ბ-ნი ს. ზ. მირზოევი ბრძანდება, ყოველ თვიურად 350 მ. (ათასი ფრანკი) დახმარებას იღებს უსახელო საზოგადოებისაგან. ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ნ. გ. არგუტინსკიმ, რომელიც ამ დროს იქვე მჯდარა, ხმ. არ. ახნაზაროვისა და სტ. თ. ქრელაშვილის თანადასწრებით, ბატაილს შენიშნა, რომ ასეთი განცხადება უსაბუთოდ მიაჩნია და ხმ. მირზოევს შეუძლიან სამართალში მიქცეთ, როგორც ცილის მწამებელიო. მე უსაბუთოდ არაფერს ვამბობ, უპასუხნია ბატაილს, და რაცა ვსთქვი, კვლავ გავიმეორებო. ამის შემდეგ გამგეობამ ბ-ნს მირზოევს მოსთხოვა აღნიშნულ ბრალდებისაგან თავი გაემართლებინა. მირზოევმა გამგეობას მოახსენა: არაფერი იმის მსგავსი არ არსებობს, რაც გაგიგონიათ. მე გამართლება არ მესაჭიროება, გინდაც რომ ბატაილისაგან 350 მან. ვიღებდე. მართალია ამ ფულს მაძლევს, მაგრამ ამაში საჭირო მასალას ვაწვდი ტრამვაის დირექტორს და სხვაო. მირზოევი შეგვპირდა, ბატაილი პასუხს მოვთხოვო, მაგრამ რაკი ეს არ შეასრულა, მაშინ ბატაილს მე თვითონ მოველაპარაკე და მან, ყოყმანის შემდეგ, მიამბო, რომ ტფილისში მართლა არსებობს „პრესის სინდიკატი", რომლის წარმომადგენლად ბ-ნი მირზოევი ითვლება. ბ-ნ მირზოევთან ბელგიის უსახელო საზოგადოებას ხელშეკრულობაცა აქვს. ამ ხელშეკრულების ძალით „პრესის სინდიკატმა" უსახელო საზოგადოებისაგან უნდა მიიღოს თვეში 350 მან. (1000 ფრანკი), სამაგიეროდ „სინდიკატმა" თავის მხრივ უსახელო საზოგადოების ინტერესები უნდა დაიცვას. ამის შემდეგ ბ-ნს მირზოევს არ შეეძლო უარი ეთქვა და მეორედ გამოკითხვის დროს განაცხადა: მართალია, რომ ბ-ნი ბატაილი თვიურად იხდიდა 350 მან. და ამ ფულის დანიშნულება ხმოსკონსტ. ჯაფარიძემ და ნიკ. ელიავამ იცოდნენო. უნდა აღვნიშნოთ,—სთქვა ბ-ნ ხატისოვმა,—რომ ჯაფარიძემ და ელიავამ უარჰყვეს მირზოევის სიტყვები. ზემოხსენებულ საქმის გამოსარკვევად ქალაქის გამგეობამ ქალაქის კომისიის სხდომა დანიშნა, რომელსაც დაესწრნენ მაზოევი და „ეჟენედ. ობოზრენიეს" უმთავრესი თანამშრომელნი ლევან ყიფიანი და ვლ. ნაგურსკი. სხდომაზე გამოირკვა, რომ 1909 წლის 18 ივნისს მირზოევს, ყიფიანსა და ნაგურსკის ურთიერთ შორის ხელ-შეკრულება დაუდვიათ, რომ ისინი აარსებენ ამხანაგობას, „კურიერს" რომლის მიზანი იქნება ხელი შეუწყოს უცხოეთის კაპიტალის განვითარებას ჩვენში. ხელ-შეკრულებაზე სამივეს უწერია ხელი. ამასთან ვ. ნაგურსკმა და ლ. ყიფიანმა თავისი ხელ-მოწერილი მისცეს მირზოევს, რომ მას ნება აქვს საქმე დაიჭიროს სხვა-და-სხვა კაპიტალისტთან და ფირმასთან და სხვ. ამ მოწმობის მიხედვით ბ-ნმა მირზოევმა 1909 წ. 10 ნოემბერს ხელ-შეკრულება დასდო ბრიუსელში ბელგიის უსახელო საზოგადოების ცენტრალურ გამგეობასთან, რომლის ძალითაც ამხანაგობა „კურიერი" ანუ „პრესის სინდიკატი" ყოველ თვეში 1000 ფრანკს დახმარებას კისრულობს, თუ კი „სინდიკატი" საზოგადოებას დაიცავს. ხელ-შეკრულება ორის წლის ვადით ყოფილა დადებული. თუ ვინიცობაა ბელგიის უსახელო საზოგადოება სინდიკატის დახმარებით მოახერხებს საბჭოში ტრამვაის გამოსყიდვის ვადის გადადებას, მაშინ ხელ-შეკრულებას სამი წლით ექნება ძალა. ეს პირობა ხელმოწერილია უსახელო საზოგადოების ცენტრალურ გამგეობის დირექტორების-მიერ. ორივე ხელ-შეკრულება წაკითხულ იქმნა მირზოევისა, ყიფიანისა და ნაგურსკის თანადასწრებით. ქალაქის გამგეობამ დაჰგმო „პრესსის სინდიკატის" საქციელი და დაადგინა, ყველაფერი ამ საქმის შესახებ აცნობოს ტფ. ქალაქის საბჭოს. გამგეობამ ამასთან წერილობით მიმართა ხმოსან მირზოევს, ხმოსნობიდან გადადგომის ქაღალდი შეეტანა 1 თებერვლამდე.

აი, ეს განაცხადა ბ-ნმა ხატისოვმა და დაუმატა, რომ მირზოევი დღესაც ამბობს, ბრიუსელის ხელშეკრულება ჩემმა თანამშრომლებმა ლ. ყიფიანმა და ვლ. ნაგურსკიმაც იცოდნენ და მათ მიერ მოწონებულიც იყოს. ყიფიანი და ნაგურსკი-კი უარს ამბობენ—არა ვიცოდით-რაო.

მოისმინა-რა ყოველივე ეს ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობამ, დაადგინა, შეეკითხოს „еженед. обозрѣніе"-ს ყველა თანამშრომლებს, აცნობონ გამგეობას, რა კავშირი ჰქონდათ გაზეთის რედაქციასთან. წერილობით მოეთხოვოს ლ. ყიფიანსა, ვლ. ნაგურსკის და ს. ზ. მირზოევს, წარადგინონ ხელშეკრულობათა პირი. საზოგადოების გამგეობა ამ საქმის შესახებ ამზადებს მასალას, რომ კვირას, 7 იანვარს მოხსენება წარუდგინოს ჟურნალისტთა საზოგადოებას.

ტფ. ქალაქის გამგეობამ ოფიციალური წინადადებით მიმართა ხმოსან ს. ზ. მირზოევს. იგი სწერს: გამგეობამ მოისმინა მოხსენება „პრესის სინდიკატის" შესახებ და შეუძლებლად სცნო თქვენი ხმოსნად დატოვება. თუ თქვენ 1 თებერვლამდე არ შემოიტანთ განცხადებას ხმოსნობიდან გადადგომის შესახებ, მთელი საქმის ვითარებას ვაუწყებთ საბჭოსო. მირზოევმა განცხადება შეიტანა. იგი სწერს: მე ხმოსნობიდან გადადგომის განცხადება გამგეობას ერთი წლის წინად წარვუდგინე და რატომ აქამდე მსვლელობა არ მისცა. მე თანახმა ვარ, საბჭოს განსახილველად შეიტანოთ ეს საქმე, რადგან მე გავმართლდებიო.

ამ სენსაციურ ამბავს სამწუხარო ინციდენტი მოჰყვა. კვირას, 31 იანვარს, ქართულ წარმოდგენის დროს ფოიეში შეტაკება მოუვიდა ორ ჟურნალისტს გრიგოლ დიასამიძეს და პართენ გოთუას. როგორც გადმოგვცეს, გ. დიასამიძის მოქმედებით შეურაცხყოფა მიუყენებია პ. გოთუასთვის.

## დეპეშები

პეტერბ. ტელეგრ. სააგენტოსაგან)

1 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**ალჟირი.** ქუჩაში მოჰკლეს ბოლივიის კონსული ჟიუვიზი.

**პარიზი.** სენა თანდათან მატულობს. წყლით გაივსო სენის ახლომახლო ქუჩები. სენატმა დაზარალებულთა სასარგებლოდ 20 მილიონი ფრანკი გადასდო.

**მარსელი.** 28 იანვარს, საღამოს 9 საათზე, სიუდადელის ახლო დაიღუპა გემი „გენერალი შანსი". გემზე 87 მგზავრი და 47 მოსამსახურე იყო. გადარჩა ორი კაცი.

**პარიზი.** კრიტის მფარველმა სახელმწიფოებმა კრიტის აღმასრულებელ კომიტეტს გადასცეს ნოტა. ნოტა შედგენილია საფრანგეთის მთავრობის ინიციატივით. მფარველი სახელმწიფოები კრიტის მცხოვრებლებს ურჩევენ მონაწილეობა არ მიიღონ საბერძნეთის ეროვნულ კრებაში. ნოტა გადაეცემა აგრეთვე საბერძნეთს, ოსმალეთს, გერმანიას და ავსტრო-ჰუნგრეთს.

**კანეია.** მფარველ-სახელმწიფოების კონსულებმა კრიტის აღმასრულებელ კომიტეტს გადასცეს სახელმწიფოების ნოტა. მფარველი-სახელმწიფოები კრიტის მცხოვრებლებს

უკრძალავენ საბერძნეთის ეროვნულ კრებაში მონაწილეობის მიღებას. თუ საბერძნეთის ეროვნულ კრებაში მონაწილეობა მიიღეთო, სწერია ნოტაში, იძულებული ვიქნებით სხვანაირი ზომები მივიღოთო.

**ბუდაპეშტი**. კონსტიტუციონურ პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, პირველ თებერვალს მოიწვიოს პარტიის საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს პარტიის დაშლის საკითხი.

**პარიზი**. სენატმა მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც მოხუცებულ მუშებს პენსია უნდა დაენიშნოთ.

**ლონდონი**. ხმა დადის, მთავრობამ გადასწყვიტა ჯერ ბიუჯეტი განიხილოს და შემდეგ ლორდთა პალატის უფლებათა შეკვეცას შეუდგესო.

**პარიზი**. ჰავასის სააგენტოს ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: სამხედრო ლიგამ ცირკულიარი გამოსცა. სამხედრო ლიგა აფიცრებს წინადადებას აძლევს, თავიანთ პირდაპირ მოვალეობის აღსრულებას შეუდგნენ და პოლიტიკაში აღარ გაერივნენო.

**ბერლინი**. საარჩევნო უფლების შესახებ კანონ-პროექტი კომისიას გადაეცა. ქალაქის თვითმართველობება, ვაჭრობა-მრეწველობის და მეკანიერების წარმომადგენელნი დიდ დემონსტრაციას მოახდენენ მთავრობის კანონ-პროექტის წინააღმდეგ. 31 იანვრისთვის დანიშნულია სოციალ-დემოკრატების საპროტესტო მიტინგები. ამის გამო პოლიციის პრეზიდენტი მცხოვრებლებს აფრთხილებს, ქუჩებში ნუ გამოხვალთ, რადგან დემონსტრანტების წინააღმდეგ იარაღს ვიხმართო.

**ლონდონი**. მეფემ მიიღო პრემიერ-მინისტრი ასკვიტი.

**გონკონგი**. კანტონში მდგომ ჩინეთის ჯარში არეულობა მოხდა. ცზინდაოდან გერმანელების ინტერესების დასაცველად წავიდა გერმანიის სამხედრო გემი. ჯარის სხვა და სხვა ნაწილებს შეიარაღებული შეტაკება მოუვიდათ.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს ტანჟერიდან დეპეშით ატყობინებენ: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ რაისულა მოწამლესო.

**გონკონგი**. კანტონში ერთმანეთში შეტაკება მოუხდათ ჩინეთის ჯარის სამ ბატალიონს. დანგრეულია პოლიციის სამართველოს სადგომი. გაიქცა 200 სალდათი.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატა განიხილავს არაბ დეპუტატების შეკითხვა იემენის მდგომარეობის შესახებ. შეკითხვაში აღნიშნულია იემენის მცხოვრებთა უკიდურესი გაჭირვება და მთავრობის უმოქმედობა. დეპუტატებში დიდი აღელვებაა. ოსმალელმა დეპუტატებმა შეკითხვის ავტორებს რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა. შეკითხვის ავტორებს პასუხი გასცა შინაგან საქმეთა მინისტრმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: იემენის მდგომარეობა მართლაც უნუგეშოა, მაგრამ ჩვენ ვეცდებით მის გაუმჯობესებისთვის. მოვახდენთ სასამართლოების რეფორმას, ადგილობრივ დავაარსებთ ჟანდარმერიის სამართველოს, ხოდეიდან სანაამდე რკინის გზას გავიყვანთ, გავაუქმებთ შინაურ დამოქნებს და გავიყვანთ ტელეგრაფს. ყველა ამას ხელს უშლის ლუქმარდის არეულობა. ჯერ დამშვიდებაა საჭირო და შემდეგ რეფორმები. როდესაც იემენში არეულობა ჩაქრება, რეფორმების განხორციელების მაშინ შეუდგებითო. შინაგან საქმეთა მინისტრს პასუხი გასცეს არაბმა დეპუტატებმა. მათ განაცხადეს, იმამიახიამ იემენის დასამშვიდებლად მთავრობას პროექტი წარუდგინა, რომლითაც იემენს ავტონომია უნდა მისცემოდა, მთავრობას ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია, მისი ბრალია თუ იემენში ამ ჟამად არეულობააო. ხელმეორედ ილაპარაკა შინაგან საქმეთა მინისტრმა. მან სთქვა, რომ მთავრობას დამზადებული აქვს კანონ-პროექტი იემენის შესახებ, მაგრამ იმამმა არ დაამტკიცა ეს კანონ-პროექტიო. დეპუტატთა პალატა დაკმაყოფილდა მთავრობის განმარტებით და მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

**პარიზი**. ჰავასის სააგენტოს სიტყვით მფარველი - სახელმწიფოები ერთსულოვნად იმოქმედებენ, თუ კრიტმა საბერძნეთის ეროვნულ კრებაში თავისი წარმომადგენლები გაგზავნაო. მფარველ-სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ამის შესახებ ერთნაირი ინსტრუქციები მიიღესო.

**სტამბოლი**. „ერთობა და პროგრესსის“ კომიტეტის ორგანო „ტანინი“ სწერს: უკანასკნელ დროს ბევრსა ლაპარაკობენ ავსტრიის და რუსეთის შეკავშირების შესახებ. ეს შეკავშირება ოსმალეთს ზიანს არ მიუტანს. ჩვენ გვწამს რუსეთის მეგობრობა და რომელიც ავსტრიას საჭირო საზღვრებში დასტოვებს და სხვის უფლებას არ დაარღვევინებსო. დასასრულ გაზეთი ბალკანეთის სახელმწიფოებს ურჩევს, შეერთდნენ და ისე ებრძოლონ გერმანელების ლტოლვილებას.

**ბერლინი**. ქალაქის სხვა და სხვა უბნებში სოციალ - დემოკრატებმა ახალ საარჩევნო კანონის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინეს და საპროტესტო მიტინგები გამართეს. მუშებს უნდოდათ სასახლეში მისვლა, მაგრამ პოლიციამ არ დაუშვა. დემონსტრანტებს შეტაკება მხოლოდ ქალაქ გარედ მოუვიდათ. დემონსტრანტებმა პოლიციელებს ქვები ესროლეს. პოლიციელებმა იარაღი იხმარეს. მსუბუქად დაშავდა რამდენიმე კაცი. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

### სპარსეთი

**თავრიზი**. ერზერუმიდან ჩამოვიდა ინგლისის ახალი კონსული შეპლე. შეპლეს დიდის ამბით დაუხვდნენ.

ამ დღეებში ყარადაღიდან ეფრემას, სარდარ-ბახუზარის და მარაღის გუბერნატორის, შუჯაუდ-დოულეს მეთაურობით ჩამოვა მთავრობის ჯარი. ბაგირ-ხანი თავის ფიდაებით ცოტა ხანს კიდევ დარჩება ყარადაღში ეფრემას რაზმის დაჭრილი ჯარისკაცები აღშფოთებით იგონებენ ბაგირ-ხანის ფიდაების მოქმედებას, რომლებიც, დაჭრილების სიტყვით, ყარადაღის სოფლებს უწყალოდ სძარცვავდნენ.

**თეირანი**. შირაზის გუბერნატორმა ფერმან-ფერმამ უარი განაცხადა გუბერნატორობაზედ. მის ადგილზედ ინიშნება ფეტხ-ალი-შაჰის შვილი პრინცი ზეფერუს-სალთანე.

### რუსეთი

**პეტერბურგი**. 30 იანვარს სასამართლო შეუდგა ნაფიც-ვექილების ბაზუნოვის და არონსონის საქმის გარჩევას. საბრალმდებლო ოქმით ბაზუნოვს და არონსონს ოლგა შტეინის სატუსაღოდან გაქცევა ბრალდება. ბრალდებულებს იცავენ ბობრიშჩევი-პუშკინი და მისი შვილი. ბრალდებულებმა თავიანთი თავი დამნაშავედ არ იცნეს. საბრალმდებლო ოქმი დამყარებულია შულცის ჩვენებაზედ. ჩვენება ჩამოართვეს რამდენიმე მოწმეს.

**ასტრახანი**. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანებით დაიკეტა თათრების სკოლა შურა-ისლამი.

**ტულა**. სასამართლომ განიხილა ორი კაცის საქმე. ბრალდებოდათ ძარცვა-გლეჯა. სასამართლომ გადაუწყვიტა, ერთს ექვსი და მეორეს ოთხი წლით კატორგა.

**პეტერბურგი**. სლავიანთა დაახლოვების საზოგადოების კლუბში ილაპარაკეს კრამარჟმა, კალინკოვმა და ლიუდსკანოვმა. კრამარჟმა სთქვა: დასავლეთ ევროპაში სლავიანები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. ავსტრიიში სლავიანთა წინააღმდეგ ნამდვილი ჯვაროსნული ომი აქვთ გამოცხადებული. გერმანელები სცდილობენ ჩეხებს სამშობლო ენაზედ ლაპარაკი და სწავლა მოუსპონ. მაგრამ ამაოდ, რადგან ჩეხები საკმაოდ შეგნებულნი არიან. საზოგადოდ, ისეთი აზრია გავრცელებული, ვითომ გალიციაში პოლონელები კარგ მდგომარეობაში იყვნენ, რაიც მართალი არ არის. მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ ვარშავაში ჩეხების წარმომადგენლების და პოლონელების შეხვედრას. სასურველია, რომ ეს საფუძვლად დაედოს სლავიანთა საერთო დღესასწაულს და შეხვედრას. ჩეხების პოლიტიკა თავის დღეში ეგოისტური არა ყოფილა. ჩეხებში იმდენად ძლიერია ეროვნული გრძნობა, რომ არავითარი ხიფათი არ მოელით. ჩეხებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ეროვნულ აღორძინების, ჩეხიის კულტურულად აყვავების და ჩეხიის მიწის დაცვისათვის მარტო სანტიმენტალური ოხვრაგოდება კი არ არის საჭირო, არამედ ენერგიული მუშაობა და თავგანწირვაო. კალინკოვმა და ლიუდსკანოვმა განაცხადეს: ბოლგარებს ბევრი სარგებლობა მოუტანეს ძველმა სლავიანოფილებმა, მაგრამ სლავიანების პროგრესისა და რეალურ ინტერესებისთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ ნეოსლავიანიზმსო.

**პეტერბურგი**. „ოსვედომიტელნოე ბიურო“ სწერს: ტყუილია გაზეთ „ნოვაია რუსის“ მიერ გავრცელებული ცნობა, ვითომ მთავრობას საზღვაო პროგრამმა შეემუშავებინოს და ამ პროგრამმის სისრულეში მოსაყვანად ერთი მილიარდი მანეთი იყოს საჭირო.

### არჩევნები ფინლიანდიაში

**ჰელსინგფორსი**. გამოირკვა, რომ სეიმში 17 კაცი აურჩევიათ, მათ შორის, 2 მლადოფინი, 3 შვეციის პარტიის წევრი, 2 სტაროფინი და 10 სოციალ-დემოკრატი.

**ჰელსინგფორსი**. უკვე გამოირკვა სეიმის შემადგენილობა: 42 სტაროფინი, მათ შორის, ყოფილა სენატორები ავგუსტი, ელტი, დანიელსონი, კალმარი და ირიე კოსკიენი; 28 მლადოფინი, მათ შორის, იონა, დასტრენი და სვინხუვუდი; 86 სოციალ-დემოკრატი, 17 აგრარი და 1 ქრისტიანი მუშა. შვეციის პარტიის წევრების რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. აირჩიეს 15 ქალი, მათ შორის, ათი სოც.-დემოკრატი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **გაზეთის დაკეტვა**. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, 30 იანვარს დაიკეტა გაზეთი „მომავალი“. პოლიციელებმა დაბეჭდეს რედაქცია.

✦ **სასტიპენდიო ფონდი**. მ. დემურიას ხსოვნის პატივსაცემლად, როგორც გადმოგვცეს, „ნაკადულის“ რედაქციის წევრთ და განსვენებულის პატივისმცემელთა ჯგუფს განუზრახავს დაარსოს იმის სახელზე სასტიპენდიო ფონდი ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. კვირას განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი. ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ **ირ. ევდოშვილი**. ეს რამდენიმე თვეა პოეტი ევდოშვილი დაპატიმრებულია. მისი ცოლშვილი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი და დახმარება კი არსაიდან არის.

✦ **96 ანარქისტის საქმე**. „კავკ. ვესტის“ სიტყვით, ტფილისში ამ მოკლე ხანში გაირჩევა „96 ანარქისტის საქმე“. სხვათა შორის, სამართალში მიცემულნი ყოფილან საშუალო სასწავლებლის მოწაფენი ვაჟები და ქალნი.

✦ **გადასაჯდომი ბილეთები**. ტრამვაის დირექციას გამოუცხადებია, რომ პირველ თებერვლიდან გადასაჯდომ ბილეთებს ძალა ექნებათ მხოლოდ სამი საათის განმავლობაში.

✦ **„კაპეიკა“**. კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში კვირას, 31 იანვარს, დიდ-ძალ ხალხის თანდასწრებით მოხდა კრება ტფილისში ახლად დაარსებულ საზოგადოებისა „კაპეიკა“ სი. კრებამ გაიცნო წესდება. საზოგადოებას აზრადა აქვს მზრუნველობა გაუწიოს ქუჩაში უპატრონოდ დატოვებულ მოზარდ ახალგაზდობას. კრებამ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია.

✦ **გვათუას საქმე სენატში**. „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სენატმა განიხილა ტფ. პოლიციის უბნის-ზედამხედველის გვათუას საქმე. ჰბრალდებოდა დეპუტატის არჩევნების დროს დეპუტატ ჩხეიძის შესახებ ყალბი ცნობების მოწოდება. გვათუას ცნობით, ჩხეიძე ტფილისში რამდენსამე წელიწადს სცხოვრობდა, რაც მართალი არ გამომდგარა. პირველად გვათუას საქმე გაარჩია ტფ. სამოსამართლო პალატამ, რომელმაც გვათუა გაამართლა. პალატის დადგენილება სენატში განასაჩივრა პროკურორმა. სენატმა საქმე ისევ პალატას დაუბრუნა.

✦ **საავადმყოფოს კურთხევა**. დღეს, 2 თებერვალს, აკურთხებენ და ოფიციალურად გახსნიან ავლაბარში ქალაქის საავადმყოფოების პირველს პავილიონს. კურთხევაზე დასასწრებლად მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი ადმინისტრაციისა და საზოგადო დაწესებულებათა.

✦ **სანატორია აბასთუმანში**. როგორც ვიცით, კავკ. ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას აზრადა აქვს დააარსოს აბასთუმანში სანატორია ჭლექიანებისთვის. უკვე შეუდგენიათ პროექტი შენობისა. ამ პროექტით შენობა სამ-სართულიანი იქნება, ასი ავათმყოფისთვის და დაჯდება 150,000 მანეთად.

✦ **ყარსის ქალაქის თვით-მართველობა**. 30 იანვარს სახელმწიფო საბჭოს უნდა განეხილა სახელმწიფო სათაბიროს მიერ მოწონებული კანონ-პროექტი ყარსის თვითმართველობის შესახებ. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკის თხოვნით, საბჭოს ამ კანონ-პროექტის განხილვა სხვა დროსთვის გადაუდვია.

---

# ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

### ბედნიერება.

**11 *)**

ჩვენ აქ არა ვფიქრობთ იმ ხშირად სავსებით ერთი მეორესთან შეურიგებელს ეთიურს შეხედულებათა ისტორიის წრეს, რომელთაც გარეგნულად მხოლოდ ევდემონიზმის სახელი აერთებთ. ყოველი ევდემონისტი, ჰედონისტი თუ უტილიტარისტი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ იმის მიერ წამოყენებული ზნეობრივი იდეალი ჰფარავს ჭეშმარიტ ბედნიერების შინაარსს, მაგრამ საკმაოა ცოტა თი დაუკვირდე კაცი ამ რწმენას და მტკიცებას და ძლიერ ადვილად აღმოჩნდება, რომ რაც მას ჭეშმარიტებად მიაჩნია, ის მხოლოდ ერთი მხარეა ნამდვილ ჭეშმარიტებისა, ხოლო რაც ცხოვრების იდეალად—ის ამ ცხოვრების მრავალ-მხრივობის სიმდიდრის სუსტი ანრდილია. ადვილად მოსაქნელს ზნეობრივს ფორმულაში თვითეულს სწორედ ის იდეალი შეაქვს, რომელიც მისი პიროვნებისთვის არის ძვირფასი და ახლობელი, ადამიანურ ცხოვრების დანარჩენს შინაარს კი ცალმხრივად გაგებულ მიზნის საშუალებად ჰხდის.

ასე ფართოდ გაგებულ ევდემონიზმის ფარგლებში ბევრ ახალს ფილოსოფიისა და მოაზრის მოთავსება შეიძლება თავისუფლად. ევდემონისტურად აზროვნებს რამდენიმე გამოჩენილი წარმომადგენელი აღორძინების ხანისა განსაკუთრებით იტალიაში. შემდეგ ბეკონი, რომელიც კეთილსა და სასარგებლოს სრულს იგივეობად აღიარებს, აგრეთვე ჰობბსი თავის უკიდურეს მატერიალისტურ და ინტელექტუალისტურ მორალით, რომლის სფეროდან ყოველი გრძნობა და გულისთქმა გადევნილია: ადამიანი თავის მოქმედებაში უნდა ხელმძღვანელობდეს არა ემოციონალურ მოტივებით, არამედ მხოლოდ გონებრივ ანგარიშით და მოსაზრებით. ზნეობრივი მოქმედება ის არის, რომელსაც სარგებლობა მოაქვს, უზნეობა კი გონების უბრალო შეცდომაა, იმიტომ რომ განზრახ თავის საზარალოს არავინ ისურვებს. სხვაფრივ კი თვით სახელმწიფომ უნდა დააკანონოს პრაქტიკულად, თუ რა უნდა ჩაითვალოს ცალკე შემთხვევაში ზნეობრივად სასიქადულოდ და რა სამირცხვინოდ, როგორც ის უბრძანებს თუ რა უნდა იქმნას აღიარებული სარწმუნოებად და ცრუ-მორწმუნოებად.

სპინოზას მორალი კი უკვე სავსებით აღარ თავსდება ამ ფარგალში: „ყოველი საგანი სცდილობს, რაც მასში არის, თავის არსებობაში შეინახოს“ ამბობს სპინოზა თავის „ეთიკაში“ და ამით მთელ რაციონალისტურ აზროვნების ერთს ძირითადს დებულებას ნათლად ჰხატავს; იმ მკვეთრ ინდივიდუალიზმის, რომელიც თუმცა ხშირად უერთდება მეტაფიზიკურ უნივერსალიზმს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ზნეობრივს პიროვნებაში მთელს ქვეყანას ჰხედავს, თავის თავად არსებულს და გარეშე თანაარსთა მიერ დამოკიდებულს. არა მარტო არსებობის შენახვა, არამედ მისი გაფართოებაა—ამ შეხედულების წინააღმდეგ—თანამედროვე მორალის ერთი ძირითადი პრინციპი.

თავის მეტაფიზიკურ მსოფლიო მხედველობის მიხედვით სპინოზა უარჰყოფს წინააღმდეგობას სავალდებულოსა და არსებულს შორის: ბუნება და ყოველი მისი მოვლენა აუცილებლად ისე არსებობს, როგორც უნდა არსებობდეს. ზნეობრივს და არა ზნეობრივს მხოლოდ ადამიანის განსაზღვრულ შემეცნებისთვის აქვს მნიშვნელობა, თვით ღმერთი ანუ სუბსტანცია, ე. ი. ნამდვილი ბუნება, არც ბოროტია და არც კეთილი; ის ამ ვიწრო წინააღმდეგობათა ზევით იმყოფება და თავის ყოფნისთვის არავითარს მორალურს გამართლებას არა საჭიროებს.

სპინოზას თანამედროვე ჯონ ლოკი კი, პირ-იქით, ნათლად გამოკვეთილი უტილიტარისტია, ბეკონის და ჰობბსის ეთიურ ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე და გამმტკიცებელი. საერთოდ ძლიერ საყურადღებო და დამახასიათებელია, რომ ბედნიერებისა და სარგებლობის მორალმა ძლიერად სწორედ იმ ხალხში გაშალა ფრთები, რომელიც თანამედროვე ერთა შორის შეიძლება ყველაზედ მეტად წააგავს ძველს რომაელებს. თითქმის ყველა შესანიშნავი ევდემონისტური სისტემა ბეკონიდან დაწყებული მილლის და სპენსერამდე დიდი ბრიტანიის ნიადაგზე აღმოცენდა. ანგლო-საქსონთა ამაყმა და ძლიერმა ტომმა, ამ თანამედროვე მრეწველობისა და მსოფლიო ვაჭრობის შემქნელმა ხალხმა თავის მატერიალურ ნაწარმოებთან ერთად მთელს ქვეყანას მისდო ის სპეციფიურად ვაჭრული მორალი და კეთილშობილი პატიოსანი ანგარიანობისა, რომელიც განმარტოებულ ალბიონის საუკეთესო შვილებმა შეიმუშავეს. ინგლისის ერი თითქმის განგებ შეუქმნია ბუნებას გულგრილი და უკანდაუხევი პრაქტიციზმის განსახორციელებლად: თავისი სრული უნიჭობა ისეთს სავსებით არაპრაქტიკულს ხელოვნებაში როგორიც მუსიკაა, მან კარგა ხანია ისევე ბრწყინვალედ დაამტკიცა, როგორც სოციალურ პოლიტიკის და აღებ-მიცემობის სფეროში, პირ-იქით, შეუდარებელი სიმარჯვე და ყოჩაღობა; მთელის ქვეყნის ბრძანებლად და არისტოკრატიად აღიარა მან თავისი თავი, იმიტომ რომ მთელს ამ ქვეყანას თავისი ეგოისტურ მიზნების საშუალებად სთვლის. ძლიერის ინტელექტით და რკინისებურის ნებისყოფით აღჭურვილმა, მან გასაოცარი უგრძნობლობა გამოიჩინა თითქმის ყველა იმაში, რაც სხვის ჭირ-ვარამს ეხება და, პირ-იქით, გადამეტებულად მგრძნობიარეობა იჩინა იმისადმი, რაც მის თავმოყვარეობას ეთანხმება ან ეწინააღმდეგება. ინგლისში, სადაც მუშები პოლიტიკურის და უტილიტარულის მოსაზრებით ხშირად კონსერვატორობენ, ხოლო ბურჟუები რადიკალობენ, ალბად მართლაც იშვიათია ზნეობრივი მოქმედება, რომელსაც წინ მისი სარგებლიანობის ჭკვიანი აწონ-დაწონვა და გამოანგარიშება არ მიუძღოდეს.

ბენტამი არის ტიპიური წარმომადგენელი ამ პატიოსანს და სინიდისერს აღებ-მიცემობაზე დაფუძნებულ „ჰედონისტურ სათნოებისა“ და მორალისა, ის იერემია ბენტამი, რომელიც მარქსმა თავის „კაპიტალში“ მისთვის ჩვეული, ულმობელი დაცინვის მიზანში ამოიღო. იგი მიემხრო არსებითად უკვე ლოკის, ჰიუმის და სმიტის მიერ გამოთქმულს „სოციალურ ბედნიერების“ პრინციპს და მთელი თავისი რეფორმისტული თეორია და პრაქტიკა მასზე ააშენა. უდიდესი სიკეთე, ყოველ ზნეობრივ მოქმედების მიზანი, საყოველთაო კეთილდღეობაა, „შესაძლებლად დიდი რიცხვის დიდი კეთილდღეობა“ ანუ „ბედნიერების მაქსიმაცია“. ბედნიერება და სიამოვნება-კი განსაზღვრულს მიზეზობრივს დამოკიდებულებაში იმყოფება ქონებასა და სიმდიდრესთან: ვინც უფრო შეუძლებელია, ის ჩვეულებრივად უფრო ბედნიერიცაა. მაგრამ ეს ბედნიერება არა მატულობს იმავე პროპორციით, როგორც შეძლება, არამედ ყოველთვის უკან რჩება მას: მაგალითად, არ შეიძლება ითქვას, რომ ორჯერ უფრო მდიდარი ორჯერ უფრო ბედნიერი და კმაყოფილიც იყოს. ამიტომ, დაასკვნის ბენტამი, სასურველია საკუთრებათა წინააღმდეგობის შემცირება, მისი დაახლოვება გათანასწორებასთან და საშუალო მესაკუთრეთაგან შემდგარი საზოგადოება უფრო ინტენსიურად იგრძნობს კეთილდღეობის მცირე მომატებასაც. სრული გათანასწორება და მით უმეტეს სოციალიზმი-კი, თუმცა ისინი შეხედულებებისაგან ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს, ბენტამის აზრით სრულიად არაა მისაღები სხვა და სხვა მოსაზრების გამო, რომელიც უმეტესს ნაწილად მის საიდუმლოებად დარჩა.

ამ უცნაურს „ეთიკას“ საძირკვლად არა ნაკლებ უცნაური „ფსიხოლოგია“ უძევს. თავდაპირველად ადამიანი აუცილებლად ეგოისტია, ბენტამის აზრით: ის სრულს იმმორალისტურს მდგომარეობაში იმყოფება, რადგან იმის მოქმედებას მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოტივები ხელმძღვანელობენ. მაგრამ შემდეგ ის ამჩნევს, რომ მისივისავე სახელდახელო და სასარგებლო თავი ხან და ხან ალტრუისტადაც აჩვენოს ბოლოს კი, განმეორებითი ცდის და დაფიქრების შემდეგ, ის იმ რწმენამდე მაღლდება, რომ არა თუ ნაჩვენები და ილუზიონური, არამედ ნამდვილი ალტრუიზმიც ხელსაყრელი ყოფილა მისი კერძო ინტერესებისათვის. ამ ჭეშმარიტების დანახვის შემდეგ ადამიანი ზნეობრივს არსებად ჰხდება და მისი მოქმედებაც იმით იზომება, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას საზოგადოებისათვის: ეთიურად სასიქადულო მხოლოდ ისეთი ნაბიჯებია, რომელსაც სოციალ-ალტრუისტული მოტივები უდევს საძირკვლად და დასაგმობია ისეთნი, რომელნიც ვიწრო ეგოისტურ სარგებლიანობის თვალთსაზრისს ჰყვებ გასცილებიან.

ამგვარ სიბრძნის წინააღმდეგ ვუნდტმა, თავის „ეთიკაში“, თუ არა ვსცდებით, სამართლიანად შენიშნა: „სინამდვილისაგან მოჩვენების წარმოშობა ძლიერ ადვილი შესაძლებე

*) იხ. „დროება“ № 22.

✦ **სოფელი არმავირი**. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს კომისიას მიუღია კანონ-პროექტი, რომლითაც სოფელი არმავირი ქალაქად უნდა გადაკეთდეს.

✦ **თავდასხმა**. დეპეშათა სააგენტო იუწყება: 30 იანვარს ბაქოში ექვსი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა შპალერის ქარხანას, ქარხანაში იმ დროს 20 მუშა ყოფილა. ბოროტგანმზრახველებს წაუღიათ 50 მანეთი და მუშების ნივთები.

✦ **კრების გადადება.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში სახალხო წარმოდგენების გამმართველ წრის საგადო კრება, რომელიც 31 ინვარისთვის იყო დანიშნული, გადაიდო თებერვლისთვის.

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება.** კვირას, 31 იანვარს, ტფ. სამეურნეო ბანკის დარბაზში, ბ-ნ ს. ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა საგანგებო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. კრებას სულ 25—28 წევრი დაესწრო. დამსწრეთ წარედგინათ მოხსენება სრულიად საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კრების მოწვევის შესახებ. კრებამ მიიღო გამგეობის წინადადება და აირჩია 5 წევრი, რომელნიც გამგეობასთან ერთად შეამზადებენ მასალას და მოიწვევენ კრებას. არჩევნები ამ დღეს არ მოხდა და გადაიდო ორის კვირით. მთელი ძველი გამგეობა გადადგა, ამიტომ ორი კვირის შემდეგ ძველი გამგეობა მოქმედების ანგარიშს წარუდგენს კრებას და მოხდება გამგეობის ახალი წევრების არჩევა.

✦ **ახალი ცირკულიარი**. „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ამ დღეებში გამოცხადდება ცირკულიარი, რომლითაც ვაჰრებს დაევალებათ ხურდისათვის ყოველთვის იქონიონ ნახევარ კაპეიკიანები.

✦ **ფოთის საკრედიტო ამხანაგობის** წევრთა კრება. ფოთიდან გვატყობინებენ, რომ 21 თებერვალს ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია საკრედიტო ამხანაგობის წევრთა მორიგი კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ამხანაგობის მოქმედების ანგარიში, შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და სხვა.

✦ **კლუბი ავლაბარში**. კვირას, 31 იანვარს, ავლაბრის კლუბის წევრებმა საზოგადო კრებაზე აირჩიეს კლუბის საბჭოს მამასახლისები. არჩეულ იქმნენ კ. ლილოვი, სერგ. ზურ. მირზოევი, კრუტიკოვი, სუხომლინოვი, ჩერნიშევი, აფრიამოვი, იგიტიანცი, ნუნუფაროვი, ასლამაზოვი, ხოლზოვი და კოვლაშვილი. კლუბი ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას.

✦ **დაჭრა და თავის მოკვლა.** 31 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, „ფანტაზიის" ბაღში ვერაზე საქეიფოდ მისულან გორის საპოლიციო სამმართველოს საქმის-მწარმოებელი ივანე ავეტიქიანცი და მარიამ იოსების ასული ჰაილიშვილი. ავეტიქიანცს რევოლვერი ამოუღია ჯიბიდან გასასინჯად, მაგრამ უეცრად გავარდნილა, მოხვედრია ქალს ყბაში და დაჭრილა. დაჭრილი ქალი ჰაილიშვილი გარედ გავარდნილა და ყვირილი მოურთავს. ავეტისიანცს ჰგონებია, ქალი საშიშოდ დავჭერიო, უსროლია რევოლვერი და თავი მოუკლავს. დაჭრილი და მოკლული საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ნავთი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში გზათა მინისტრის ამხანაგს დმიტრაშკოს განუცხადებია, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს პირველ ივლისიდან ბაქო-ბათუმის რკინის გზაზედ ნავთის გადასატანი ხარჯი შეამციროსო.

✦ 30 იანვარს რიყეზე დააპატიმრეს უცნობი კაცი, რომელმაც თავის თავი ქართლის მცხოვრებ ნიკოლოზ ივ. მაისურაძედ გამოაცხადა. გამოძიებით გამოირკვა, დაპატიმრებული მაისურაძე კი არა, თელავის მცხოვრები კონსტანტინე ბოიანოვი ყოფილა, რომელიც 1908 წელს ადმინისტრატიულის წესით ყოფილა გადასახლებული. გაჩხრეკის დროს ბოიანოვს აღმოაჩნდა საბრალმდებლო ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ იგი პასუხისგებაში მიუციათ, როგორც მეთაური ტერორისტთა ბრბოსი. მასვე ჰბრალდება ანდრია მწარიაშვილის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება. 30 იანვარს მე12 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს 8 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს.

✦ ტფ. პოლიციამ 30 იანვარს დააპატიმრა საგენ.-გუბერნატოროდან გადასახლებული და ნებადაურთველად ტფილისში დაბრუნებულნი რაჭველი ვასილ კობლაძე, არუთინ არზუმანოვი და ნიკოლოზ იოსებაშვილი.

**გაზეთ „მომავლის" ხელისმომწერთა საყურადღებოდ.**

ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, კვირას დახურეს გაზეთი „მომავალი". რედაქცია ეცდება სულ-მოკლე ხანში დააკმაყოფილოს ყველა თავის ხელისმომწერლები.

(1—1) „მომავლის" რედაქცია.

## მოწერილი ამბები

**ქიზიყი.** წლევანდლისთანა მშვენიერი, შეხამებული ამინდი ღრმად მოხუცებულ ქიზიყელთაც არ ახსოვთ. თავთავის დროზე ბრწყინვალე, მზიანი დღეები, თავის დროზე ჟუჟუნა, მაისებური წვიმები. თოვლი ორიოდე დღით, თუ ვიხილეთ წლევანდელს ზამთარში, ისიც თვალის დახამხამებაზე, ცხოველმა მზის სხივებმა გააქარწყლეს. სხვა არა იყოს-რა, იანვარში რომ ადამიანმა ეზოს სინათლე იხილოს დამე, განა ეს მაჩვენებელი არ არის იმისა, რომ ქიზიყში იანვარში გაზაფხულისებური ამინდია. ეს არის მიზეზი, რომ ქიზიყელის გული, სხვა ათასგვარ დუხჭირ ცხოვრებით დაღლილი, ცოტათი მაინც ლიმ მოსულია, რადგან მინდვრად გუდსავსედ ბიბინებს ჯეჯილი. იმედია, წელსაც უხვი მოსავალი იქნება ჭირნახულისა. თუმცა სულადს ამ ჟამადაც არავითარი მაზანდა არა აქვს, წვრილ ფეხა ნარხ-მოგაჭრეთა მეოხებით, მაგ., ფუთი ხორბალი სამ აბაზზე მეტად არა ფასობს, მაინც ქიზიყელი იმას გაიძახის. მოსავალი უკვე მოვიდეს, ცოლ-შვილი ნუ მომიმშივა და თუნდ ამაზე დაბლა დაეცეს სულადის გასასყიდი ფასიო.

მიწის საკითხი თანდათან ჩვენსკენაც მწვავე ხასიათს იღებს. დღე არ გაივლის, შირაქის მინდვრებისაკენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოსულმა „ხოდოკებმა" არ გაიარონ და არ შეათვალიერონ იქაური მინდვრები საცხოვრებელ ბინად. ქიზიყელნი შიშობენ, მალე მთელ შირაქს ჩამოგვართმევენ, სადაც ჩვენი ცხვარ-ძროხა მიდიოდა იოდის ზამთრობითაო და მოსულებს ჩაასახლებენ დასასახლებლადაო. ამასთანავე ამბები ქიზიყელთ ამ ერთის წლის წინად სრულებით არა სჯეროდათ—„ჩვენი მთავრობა არ გაგვიმეტებსო", მაგრამ რაც ალაზნის ხიდიდან დაწყებული სწორედ ჯარხლისჯანამდის მდებარე მინდორ-ტყე რუსეთიდან გადმოსახლებულთ დაიჭირეს და რაც შარა გზის გაღმა-გამოღმა ტყე იყო გაკაფეს და გაანადგურეს, ეხლა თითში იბინეს და მწარე საგონებელს მიეცნენ. ამ ორი-სამი წლის შემდეგ ქიზიყელთ ისე გაუჭირდებათ ცხოვრება უტყეობით, რომ ამათი ცხოვრება აღარაფრად ეღირება. მაშინ ამათი აქედან გადასახლება ემჯობინება შორეულ ციმბირისაკენ.

ამ ერთის წლის განმავლობაში ქიზიყის სამმა სოფელმა: ტიბაანმა, ჯუგაანმა და მაშნაარმა სახელმწიფო ბანკის საშუალებით შეიძინეს ალაზან გაღმა მდებარე თავ. ჩოლოყაშვილისეული ჭიაურის მამული დაუმტკიცებდათ კიდეც. მაგრამ ნებას არ აძლევენ, რომ ამ თავითვე ისარგებლონ ნაწილნაწილ ტყით და შესყიდული მამული კომლეურად გაიყონ სასარგებლოდ. სოფლის საერთო მფლობელობაში უნდა დარჩეს ის შეძენილი მამული და ვინც რამდენი მამულითაც ისარგებლებს, შესაფერი გადასახადიც უნდა გაიღოს, სანამ მთელი ეს მამული სახელმწიფო ბანკის ვალს არ გადაიხდის ორმოცდა თხუთმეტის წლის განმავლობაშიო. ეს პირობა მამულის შეძენისა ქიზიყელთ ჭკუაში არ მოსდით, თუ თავიდან გვცოდნოდა ეს გარემოება, სრულებით არ მოვკიდებდით მამულს ხელსაო. ეს პირობა, მართლა შეძლებულ მეკომურთათვის არის ხელსაყრელი და სახეიროო.

დიდი მითქმა-მოთქმა და დავიდარაბაა ამ საკითხის შესახებ ამ ჟამად და არავინ იცის, რითი დაბოლოვდება ეს საქმე. ვშიშობ, ეს მამულიც გადმოსახლებულთ არ დარჩეთ, მით უმეტეს, რომ ეს მამული ძალიან მოსწონს „ხოდოკებს".

18 იანვარს ს. ქვემომაჩხაანში მოვიდა ადგილობრივი მომრიგებელ-შუამავალი ა. ჯორჯაძე. ამ დღისათვის ა. ჯორჯაძეს ქვემო მაჩხაანში დაბარებული ჰყვანდა მახლობელ სოფლების ცოტად თუ ბევრად შეძლებული პირნი. ა. ჯორჯაძემ შეკრებილთ გამოუცხადა ქიზიყელთათვის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსების ფრიად დიდი საჭიროება. ქიზიყის მშრომელი გლეხკაცობა და წვრილი ხელოსნები საწველ ფურად არიან გამხდარნი ნარხ მოგაჭრეთა ხელში. დამსწრეთ მოიწონეს მომრიგებელ-შუამავლის წინადადება, შეადგინეს ქაღალდი, ჩაეწერნენ წევრებად და ამ ქაღალდს ჰგზავნიან სადაც ჯერ არს დასამტკიცებლად, რომლის შემდეგ ფაქტიურად ქვემო-მაჩხაანში დაიწყებს მოქმედებას „ქიზიყის შემნახველ-გამსესხებელი" ამხანაგობა.

28 იანვარს ქ. სიღნაღის თავად არჩეულ იქმნა ძველი ქალაქის თავი ენიკოლოპოვი. მეორე კანდიდატს კ. ტყაგაძესაც, მგონი იმდენივე ხმა ამოსვლია. ჯერ არავინ იცის, უპირატესობას, რომელს დაუმტკიცებენ. X.

## სპარსეთი

**რახიმ-ხანის საქმე.**

29 იანვარს სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მეტად ბეჯითი მკაცრი ნოტა ჩააბარა რუსეთის ელჩს პოკლევსკი—კოზელს. ელჩი აღნიშნავს ნოტაში, რომ რახიმ-ხანმა მარტო სპარსეთის ხალხს როდი მოუტანა ზარალიო, მან არდებილის აკლების დროს დიდი ზარალი მისცა აგრეთვე რუსეთის მრავალ ქვეშევრდომსაო. მინისტრი მოითხოვს, რომ რუსეთმა გასცეს ყაჩაღი რახიმ-ხანი.

რუსეთის მთავრობამ უარი განაცხადა რახიმ-ხანის გაცემაზე. სპარსეთის მთავრობამ ამ უარის თაობაზე თავის ელჩების პირით პროტესტი განაცხადა ევროპის სახელმწიფოთა წინაშე.

რახიმ-ხანის მამულები და სხვა ქონება, რომელსაც 6 მილიონ მანეთად აფასებენ, უკვე შეკრა სპარსეთის მთავრობამ. უძრავი ქონება ხომ ჩამოართვა კიდევაც ხაზინის სასარგებლოდ.

**ვინ დაამარცხა რახიმ-ხანი.**

სპარსეთის შავრაზმელების ბელადი რახიმ-ხანი დაამარცხა სპარსეთის მთავრობის ჯარმა, რიცხვით 5,000-მდე კაცმა. ეს ჯარი შედგენილი იყო ჯერ კიდევ წარსულ წლის ოქტომბრის გასულს სხვა და სხვა მხრის თავისუფალ მეომართაგან. უმთავრეს როლს ამ ჯარში თამაშობდენ ბახტიარები, 300 კაცი, განთქმულ სარდალ-ასადის შვილის სარდალ-ბაღადურის უფროსობით; ბახტიარებს გარდა რახიმ-ხანის წინააღმდეგ იბრძოდა თავრიზელ ფიდაების რაზმი ცნობილ ბაღირ ხანის მეთაურობით, სპარსელ ყაზახთა რაზმი ცნობილ ეფრემის მეთაურობით, ასტარელ ფიდაების რაზმი, სარდალ-მოხაზები არტილერიით და სხვანი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მთავრობის ჯარს ბოლოს დრომდე მოსდიოდა მაშველი ჯარი. ერთის სიტყვით, სპარსეთის მთავრობამ ყოველი ღონისძიება მიიღო, რომ სპარსეთის რეაქციის ბურჯისთვის—რახიმ-ხანისთვის ბოლო მოეღო და აკი მოუღო კიდევაც. ეგაა თითონ რახიმ-ხანმა 200 ერთგული მეომრით თავს უშველა და რუსეთის სამფლობელოში გაიქცა.

## ბალკანეთის საქმეები

**რუსეთ-ავსტრიის შეთანხმება.**

ავსტრიის იმპერატორის სასახლის წრეებთან დაახლოვებული გაზ. „ფატერლანდ"-ი იუწყება, რომ ავსტრიამ და რუსეთმა უკვე მოახერხეს შეთანხმებაო. შეთანხმების უმთავრესი მუხლები შემდეგია: ბალკანეთის ეხლანდელ მდგომარეობის დაცვა, ბალკანეთის სახელმწიფოთა შინაგან საქმეებში არ ჩარევა და ოსმალეთის ახალ წეს-წყობილების დაცვა. ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონი ერენტალი ბერლინში მიდის გერმანიის კანცლერთან ბეტმან-გოლვეგთან მოსალაპარაკებლად.

ინგლისური და იტალიური პრესაც ჰმოწმობს, რომ რუსეთი და ავსტრია უკვე შეთანხმდნენ ბალკანეთის საქმეების შესახებაო.

ამბობენ, ამ შეთანხმებას გერმანიის მთავრობამაც ძლიერ შეუწყო ხელიო. 29 იანვარს ავსტრიის ელჩი ბერლინში დიდხანს ეთათბირა კანცლერს ბეტმან-გოლვეგს და გარეშე საქმეთა მინისტრს ფონ-შენს; ამის შემდეგ ელჩი წარუდგა და ავსტრიის იმპერატორის ფრანც-იოსების წერილი გადასცა იმპერატორ ვილჰელმს, ელჩი მთელ ორ საათს დარჩა იმპერატორთან და როგორც ისმის, ავსტრია-რუსეთის შეთანხმების შესახებ ესაუბრაო.

**ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი.**

იტალიურ გაზ. „ტრიბუნა" იუწყება: ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოზი მომავალ მარტის დამდეგს სერბიის მეფეს პეტრეს სანახავად წავა ბელგრადს, ხოლო შემდეგ მეფე პეტრე და მთავარი ნიკოლოზი ქალ. ცეტინიეში შეხვდებიან ბოლგარიის მეფეს ფერდინანდს და საბოლოოდ მოილაპარაკებენ ბოლგარიასა, სერბიასა და ჩერნოგორიის კავშირის თაობაზეო.

**სახელმწიფოების ნოტა.**

მფარველმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს ხელახლად დაიჭირონ ზოგიერთი ადგილი კუნძულ კრიტზე და შეატყობინონ კრიტის მთავრობას, რომ კრიტელი დეპუტატები არა დროს არ იქნებიან შეშვებული საბერძნეთის ეროვნულ კრებაშიო. სახელმწიფოებმა ესევე გამოუცხადეს საბერძნეთის მთავრობას. სახელმწიფოების ნოტა კრიტის მთავრობისადმი მეტად მკაცრ კილოზეა შედგენილი. სახელმწიფოები აფთხილებენ კრიტის მთავრობას, არამცა და არამცა არ შეურაცხჰყოთ ოსმალეთის უზენაესი უფლება, რადგან სახელმწიფოები მედგრად დაიცავენ ამ უფლებასო.

**კრიტის გაყიდვა**

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან: „სახელმწიფოებს განზრახული აქვთ წინადადება მისცენ ოსმალეთს კრიტი საბერძნეთს მიჰყიდოს. სტამბოლში შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ოსმალეთის მთავრობა დასთანხმდეს ამ წინადადებას.

**კონფერენცია კრიტის საქმეზე.**

ხმა დადის, ოსმალეთმა წინადადება მისცა სახელმწიფოებს, კრიტის საქმის გადასაწყვეტად მფარველი სახელმწიფოების კონფერენცია გაიმართოს რომში გერმანიისა და ავსტრიის მონაწილეობითო.

## საგლეხო ბანკის გამგის წერილი.

კვირის „ზაკავკაზიე"-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ამიერ-კავკასიის საგლეხო ბანკის გამგის ბ-ნ უსტინოვისა:

„გაზეთ „დროება"-ში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხება ჩემდამი რწმუნებულ ამიერ-კავკასიის საგლეხო ბანკს და ისეთ ცნობებს იძლევა და საქმის მდგომარეობას ისე ახასიათებს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. საგლეხო ბანკს მამული იძლევა იჯარით საგანგებო ვალდებულებით, სავალდებულო პირობაზე ხელს აწერენ მოიჯარადრენი სოფლის მამასახლისის შემოწმებით. პირობის ქაღალდში აღნიშნულია საიჯაროდ გაცემულ მამულის რაოდენობა, ფასი იჯარისა თითოულ დესეტინაზე და ფულის გადახდის ვადა. ამავე პირობის ქაღალდში განმარტებულია ისიც, რომ იმ შემთხვევაში, თუ სათესი და სახნავი მიწა გაზომით აღმოჩნდება მეტი, ვიდრე პირობაშია, მოიჯარადრენი მოვალენი არიან საიჯარო ფული ამ ახალი რაოდენობის თანახმად იხადონ. გორის მაზრის იმ ნაწილში, რომელსაც წერილის ავტორი ეხება ბანკის მამულების ზედამხედველ მოურავად დანიშნულია აზნაური ტერიევი, რომელსაც არავითარი პირადი დამოუკიდებელი უფლება არა აქვს მინიჭებული და მამულს იჯარით აძლევს ბანკის მიერ დაწესებულ ფასებში. ტერიევის მოქმედებას კონტროლს უწევს ბანკის რწმუნებული, რომელსაც დავალებული აქვს ბანკის მამულების მეურნეობის ზედამხედველობა.

სოფელ არადეთის გლეხების რწმუნებულთა ვასილ ტიტვინიძისა და გაბო ხუმარაძის განაჩენით და საიჯარო ვალდებულების პირობით (№ 9), 1909 წლის მოსავლისათვის გაცემული იყო იჯარით: 35 დესეტინა პურის დასათესად—551 მ. 25 კაპ. ქერის დასათესად 35 დესეტინა—252 მანეთად, სასიმინდისა 15 დესეტინა 151 მან. 80 კაპ., სულ 85 დესეტინა—955 მან. 5 კაპ. გაზომის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საყანედ გაცემული ყოფილა 58 დესეტინა, საქერედ—$20\frac{1}{2}$ დესეტინა და სასიმინდეთ $13\frac{3}{4}$ დესეტინა, სულ $92\frac{1}{4}$ დესეტინა. ანუ $7\frac{1}{4}$ დესეტინით მეტი, ვიდრე საიჯარო პირობებში იყო მოხსენებული. ამიტომაც თანახმად ბანკის დადგენილების საიჯარო ფასიც მომატებულ იქნა 245 მან. 20 კაპ. და დაწესდა 1200 მანეთი 25 კაპ. ფულის შემოტანის ვადა გავიდა 10 ივლისს 1909 წელს და 839 მ. 85 კაპიკის გადახდის შემდეგ მოიჯარადრეებზე ვალად დარჩა 340 მ. 40 კ.

სოფელ წვერის გლეხების რწმუნებულების ანდრო სამნიაშვილისა და სიკო ბურჯანაძის განაჩენითა და საიჯარო პირობის (№ 8) ძალით იჯარით გაიცა 1909 წ. მოსავლისათვის: საყანედ 40 დესეტინა—630 მანეთად, საქერედ 40 დესეტინა—288 მანეთად და სასიმინდეთ 20 დესეტინა—202 მ. 40 კაპ. სულ 100 დესეტინა—1120 მანეთად 40 კაპ. გაზომის შემდეგ აღმოჩნდა: საყანედ ყოფილა გაცემული $54\frac{1}{3}$ დესეტინა, საქერედ $43\frac{1}{2}$ დესეტ. სასიმინდეთ 13 დესეტ. ამიტომ იჯარის ფასი ბანკის დადგენილებით მომატებულ იქნა 202 მ. 98 კაპ., ე. ი. 1323 მან. 38 კ., ნაცვლად 1120 მან. 40 კაპ. ფულის გადახდის ვადა გავიდა 10 ივლისს 1909 წელს. 561 მ. 78 კაპ. გადახდის შემდეგ, დარჩა ვალად გლეხებზე 761 მ. 60 კაპ., იანვარში გადაიხადეს კიდევ 562 მ. 12 კაპ. დარჩა კიდევ გლეხებზე 199 მ. 48 კაპ.

ამავე მამულებში გაზომის შემდეგ ყოფილა შემთხვევა, რომ საიჯარო ფასი დაკლებულიყოს. საიჯარო ვალდებულების № 4-თ აღნიშნული მამული გაზომის შემდეგ ნაკლები აღმოჩნდა და საიჯარო ფასიც 1327 მან. 59 კაპ. შემცირდა. სავალდებულო პირობის № 6 მამულზე საიჯარო გადასახადი 464 მან. 60 კაპ. შემცირდა. საიჯარო ფასი წერილში ნაჩვენებია 16 მან. 25 კაპ. დესეტინაზე, ნამდვილად კი ბანკს დაწესებული აქვს დესეტინაზე: 15 მ. 75 კაპ, საყანე მიწაზე, 7 მ. 20 კ. საქერეზე, 10 მან. 12 კაპ. სასიმინდეზე და 1 მან. საძოვრად დატოვებულ დასასვენებელ სახნავ ადგილზე.

არც ის შეეფერება სინამდვილეს, ვითომ დიდი საიჯარო გადასახადები აიძულებდნენ გლეხებს გადასახლდნენ სადმე ან, როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, კახეთში. წვერიდან, არადეთიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან არავინ არ გადასახლებულა კახეთში. გლეხებს საშუალება აქვთ საიჯარო წესს თავი დააღწიონ და შეღავათიან პირობებში შეიძინონ მამული და საგლეხო ბანკის დახმარებით აძლიონ 4 მ. 50 კაპ. ყოველ ათ თუმანზე 55 წლის ვადის განმავლობაში. დესეტინა რომ 100 მანეთი ღირს, ყიდვის დროს გლეხმა უნდა წინდაწინ წარადგი-

---

ლია, მაგრამ მოჩვენებას რომ სინამდვილე შეექმნას, ეს ჯერ არ გაგონილაო". პირფერულის და ნაძალადევ სანტიმენტალობით თამაში ძლიერ გავრცელებული ხელოვნებაა, მაგრამ აქედან გულწრფელი გრძნობა არ დაბადებულა და არც როდისმე დაიბადება. გრძნობა არითმეტიკული დასკვნა არაა, რომ მისი ბუხჰალტერულ წიგნებიდან ამოკითხვა შეიძლებოდეს. ვინც გაუსწორებელს ეგოისტად გაჩენილა, იმას ვერავითარი მშრალი რაციონალური რეფლექსიები, თუნდ უუსათნოიანეს უტილიტარიზმისაგან ალებულნი, თავგანწირულს ალტრუისტად ვერ გარდაქმნის. და თუ დღეს ჩვენ ვამჩნევთ, რომ ადამიანი ყველგან (მე სახეში მყავს ნამდვილი ადამიანი და არა მხოლოდ ადამიანის სახელის მატარებელი) მეს გრძნობასთან ერთად თანაგრძნობის ნიჭითაც არის აღჭურვილი, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ როგორც ეგოისტური, ისე სოციალური გრძნობა შეგნების პირველყოფილი ფაქტია და მათი ერთი-მეორეს გარეშე წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელია. არავითარს ევოლუციას არ ძალუძს დამოუკიდებელ ეგოიზმიდან თან და თან დამოუკიდებელი და ჭეშმარიტი ალტრუიზმი გამოიყვანოს: ასე „განვითარებული" ალტრუისტული თუ „სიმპატიური" გრძნობა მართლაც მუდმივ აჩრდილად და მოჩვენებად დარჩება. როგორც სუბიექტის, ე. ი. „მეობის" შეგნება გულისხმობს ობიექტის, თვით. „არამეობის" წარმოდგენას და ევოლუციონურად მისგან არ შეიძლება გამოვიდეს, ისე მეს დაფასებაც აუცილებლად პარალელურად მისდევს თანაარსთა დაფასებას და სიყვარულს, წინ კი ხანგრძლივად ვერასოდეს ვერ გაუსწრებს. თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ფსიხოლოგიური ფაქტია ის გარემოება, რომ ადამიანები, რომელთა თვალში სხვის ცხოვრებას ღირსება დაკარგული აქვს, თავის თავსაც ძლიერ იაფად აფასებენ და თვით-მკვლელობას ადვილად სჩადიან.

პირველყოფილი ადამიანი, რასაკვირველია, სრულიადაც არა ჰგავს იმ ანგელოსს, რომლადაც ის რუსსომ მიიჩნია, მაგრამ ის არც მხოლოდ მძაფრის ეგოიზმით გამსჭვალული მხეცია როგორც ეს ჰობბს ეგონა. ამ მხრივ სცდება არა მარტო ინგლისის მატერიალიზმის შემქნელი ლოკსი და ბენტამთან ერთად, არამედ თვით ჰერბერტ სპენსერიც, რომლის მიხედვით ალტრუისტული გრძნობანი მემკვიდრეობის პრინციპის საშუალებით თანდათან ვითარდებიან ეგო-ალტრუისტულთაგან, ისევე, როგორც თავის მხრივ ეს უკანასკნელნი ევოლუციონურად წმინდა ეგოისტურს სულიერს მოძრაობათაგან გამოდიან. პირიქით, ლორდი შევტსბიური, ძველს ეთიკოსთა შორის, და თანამედროვე ფსიხოლოგები ლიპპსი, ვუნდტი და სხ., რომელნიც ალტრუიზმს და „თანაგრძნობას" ისეთსავე დამოუკიდებელს და პირველყოფილს ფსიხიურ ფაქტად სთვლიან, როგორც ეგოიზმს და „მეს გრძნობას", ჩვენის რწმენით, სავსებით ეთანხმებიან საქმის ნამდვილს ვითარებას.

სოციალური აფექტი სწორედ ისეთს ისტორიულს დამოკიდებულებაში იმყოფება ინდივიდუალურთან, როგორც საზოგადოება პიროვნებასთან. ეს უკანასკნელნი კი თუმცა შეუწყვეტელს ურთიერთობაში ვითარდებიან ისტორიულად, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, რომ ერთი რომელიმე მათგანი აღმოცენდა ევოლიუციონურად მეორეს ნიადაგზე. პირიქით **ურთიერთობა** მხოლოდ იქაა შესაძლებელი, სადაც ორი დამოუკიდებელი ძალა მაინც არსებობს; საზოგადოება არაა ისტორიული შედეგი ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ინდივიდუალობის რაციონალურ და უტილიტარულ ანგარიშისა და მოსაზრებისა, მაგრამ არც პიროვნებაა, პირიქით, მხოლოდ სოციალურ ევოლუციის ნაყოფი. კაცობრიობის ისტორიის შესავალში არც სრულიად განმარტოებული ინდივიდუალობა სდგას, არც სავსებით ინდივიდუალურს თვისებებს მოკლებული უპიროვნო ჯოგი. ამ საყურადღებო გარემოებას ხშირად ივიწყებს როგორც უკიდურესი „ინდივიდუალისტური", ისე უკიდურესი „კოლლექტივისტური" მსოფლიო მხედველობა: თანამედროვე კულტურულს საზოგადოებასა და პიროვნებასთან შედარებით ველური ურდოც და ველური ინდივიდუალობაც, რასაკვირველია, სალოლავს, განუვითარებელს ჩანასახად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ეს ჩანასახნი პარალელურად არსებობენ. მათი არსებობის ფსიხიური გამოხატულება კი „მეს გრძნობა" ან „ეგოიზმი" და „თანაგრძნობა" ან „სიმპატიაა". პირველყოფილი ადამიანი არც ანგელოსია და არც სატანა: მის ბუნებაში სწორედ იგივე ძალა და ნიჭი სთვლემს, რომელიც შემდეგ კულტურულს განვითარებაში მძლავრად და ყოველმხრივად იშლება.

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

ნის თავისად 10 მ., ხოლო 90 მან. ეძლევა სესხად. წლიურად უნდა დაფაროს 4 მ. 5 კაპ. ვალი დესეტინაზე, ხოლო ორხარისხოვან დამუშავებაზე 8 მან. 10 კ. და ეს ფული ნაკლებია საიჯარო ფასზე, რომელიც უნდა ჩაითვალოს საშუალოდ 11 მ. 75 კაპ. ის განსხვავება, რომელიც არსებობს სყიდვისა და საიჯარო პირობების შორის, გამოწვეულია მამულის სხვა და სხვა სავალდებულო გადასახადებითა და ადმინისტრაციის შესახებ ხარჯით.

უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი ფაქტი. ამ დღეებში ჩემთან მოვიდა არადეთელი გლეხი და მთხოვა, მიმეყიდნა გლეხებისათვის მამული. ამასთან მითხრა, რომ გლეხები თანახმანი არიან ბანკის ყველა პირობისა. არადეთელ გლეხის მოსვლამ დამანახვა, რომ მამულების მყიდველები იმავე გორის მაზრელი გლეხებია. მამულის ნაჭრობლივ დაყოფისა, გამიჯვნის და საძოვარ ადგილების გამოყოფის შემდეგ, აგრეთვე სამოსახლოსა და საბოსტნე ადგილების გამოყოფის შემდეგ, უეჭველია, გორის მაზრის გლეხები შეიძენენ მამულს, რადგან ადგილობრივი გლეხები მიწების მიღებას უფასოდ მოელოდნენ და მხოლოდ მაშინ აცხადებენ მამულის ყიდვაზე სურვილს, თუ ამავე მამულის ყიდვას გარეშე პირეიც ლამობენ. უკვე იყო შემთხვევა ოსებთან, მამულის შეძენაზე სურვილი განაცხადეს და შემდეგ უარი სთქვეს სესხის დასამატებელ თანხის უქონლობისა გამო.

არ შევჩერდები წერილში მოყვანილ ისეთ სიტყვებზე, როგორიც, მაგ., ბანკის მიმართ არის ნახმარნი: „მამულის შუამავალნი" „გლეხის უკანასკნელ ფარის წამგლეჯნი" და სხვა. ასეთ სიტყვების ხმარება შეუფერებლად მიმაჩნია და ავტორის სრულს პასუხის მგებლობასთვის დამიტოვებია".

ჩვენი წერილი, რომლის საპასუხოდაც ბ-ნი უსტინოვი სწერს, დაიბეჭდა „დროების" მე-12 ნომერში. აი, რა სწერია ამ ნომერში:

სოფლის მოხელეებს მოუმატათ ახალი შტატი მოხელეებისა. ეს მოხელეები განაგებენ იმ მამულებს, რომელსაც საგლეხო ბანკი იძენს. ამ მოხელეებს უწოდებენ „მამულის გამგებს".

იმ მამულის გამგედ, რომელიც კალატოზიშვილებმა საგლეხო ბანკს კადასცეს („ღვდოფლის მინდორი"), დანიშნულია კოტე ტერიაშვილი. საგლეხო ბანკი სწერდა ბრეთის მამასახლისს: სოფ. წვერზე ირიცხება მამულის იჯარა 1120 მან. 40 კაპ. და გადაახდევინეთ. მამულის გამგე ტერიაშვილი-კი წვერლებს სთხოვს 1400 მან., აგრეთვე სოფ. არადეთს საგლეხო ბანკმა შეაწერა 955 მან. 5 კაპ., მამულის გამგე-კი ახდევინებს—1300 მან. მამასახლისმა გამოუცხადა ორთავე სოფელს ის, რასაც ბანკი ითხოვდა, მაგრამ გამგე ჩაციებულია—ზედმეტსა სთხოვს. გლეხებსაც იმდენი გამბედაობა და შნო აღარ შერჩათ, რომ საგლეხო ბანკის ანგარიშით ფული პირდაპირ ბანკში წარადგინონ.

თითო დესეტინაზე ბანკი ახდევინებს 16 მან. 25 კაპ. გლეხები ეხლა ბევრს ნანობენ, რატომ მაშინვე არ შეეცადნენ, ეს მამული შეენარჩუნებინათ. დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ; საგლეხო ბანკის ამოდენა გადასახადს ვერ აუდიან და ფიქრობენ სხვაგან გადასახლებას. შეძლებული გლეხები არიან, ქვიტკირის შენობები უდგიათ და ამოდენა ნაამაგდარზე, რასაკვირველია, დიდი რამ გაჭირვება თუ აღებინებს ხელს ან რაიმე განსაცდელი. განსაცდელიც კარს მომდგარია და როგორ დააღწევს თავს, აღარ იცის. ან სხვა უკეთ პირობებით მამული უნდა იშოვნონ და გადასახლდნენ, ანა არა და ყველაფერი უნდა გაჰყიდონ, რომ ეს მამული შეინარჩუნონ".

როგორც ხედავთ, ჩვენ წერილში არსად არის ნახმარი სიტყვები „მამულის შუამავალნი", „გლეხის უკანასკნელ ფარის წამგლეჯნი" და სხვა ამისთანები. რაც შეეხება ციფრებს, თითქმის არავითარი განსხვავება არ არის ჩვენსა და ბ-ნ უსტინოვის წერილებში მოყვანილ ციფრებს შორის.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას და შაბათს ქართულ თეატრში წარმოადგინეს ვასილ ყიფიანის ორიგინალური პიესა „სამეგრელოს მთავარი ლევან" ორივე წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. უადგილობის გამო რეცენზიას ამ ნომერში ვერ ვათავსებთ

---

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ისმინე, ისრაილ!" და „შეშლილის წერილები".

## პასუხის პასუხი

### ავლაბრის თეატრის დირექტორს ბ-ნ ამო ხარაზიანს.

(დასასრული *)

როგორც ზევითაც ვთქვით, ბ-ნი ხარაზიანი ყველაფრით ხელს უშლიდა ქართულ დასს და ამავე დროს თვითონვე იმდურებოდა, სასურველად ვერ მიჰყავთ წარმოდგენები, რის გამო დიდი ზარალი მომდისო. თეატრის დირექტორს, ჩიჩიაც უნდა და ბაბაც. არა ერთხელ მივეცით წინადადება იმაზე, რომ რეჟისორად მოეწვია რომელიმე ქართველი მსახიობი, რათა წარმოდგენები უფრო სასურველად წასულიყო. ზოგიერთ მსახიობთან მოლაპარაკებაც კი გვქონდა, მაგრამ დირექცია მცირეოდენ ხარჯის გაღებასაც კი გაურბოდა რეჟისორის დასაჯილდოვებლად. ერთ ხანად სვიმონიძეც კი მოიწვია თვეში ოთხ თუმნად, რაც სულ მცირე საფასურია რეჟისორისათვის, მაგრამ სამი-ოთხი წარმოდგენის შემდეგ პირობას გადადგა და იგიც დაითხოვა,—ამდენის გადახდას ვერ შევძლებო. ცხადია, თუ ასეთი მრავალი მიზეზი გადაეღობებოდა წინ, წარმოდგენები ვერ წავიდოდა სასურველად.

ბ-ნი ხარაზიანი ჩვენდა სახელის გასატეხად ამბობს: რამდენჯერმე ვთხოვე ქართულ დასს თავის თავზე მიეღო წარმოდგენების მართვა, მაგრამ არც ერთხელ არ მოისურვა, რადგან დარწმუნებული იყო, ზარალის მეტს ვერასა ნახავდა. ისიც უნდა დაუმატოთ,—ბრძანებს ხარაზიანი,—რომ სცენის-მოყვარეებს ერთმანეთში სულ მუდამ უთანხმოება ჰქონდათ ხოლმე და აბა როგორ წაუვიდოდათ ხეირიანად საქმეებიო.

პირველ წინადადებაზე ასე უპასუხებთ: მგონი არც თვითონ ექნება დავიწყებული, რომ ქართულ სცენის-მოყვარეთა ამხანაგობის გამგეს არა ერთხელ ჰქონია ლაპარაკი, რომ ყოველი წარმოდგენა ჩვენ თავზე აგვეღო და შემოსავალ-გასავალიც ჩვენ ხელთ ყოფილიყო. ჩვენი განზრახვა იყო, სულ მცირე ფასებში გაყიდულიყო ბილეთები (ახლა 80 კაპეიკიდან 10 კაპეიკამდე), რათა ხელი შეგვეწყო ავლაბრის ღარიბ მცხოვრებთათვის წარმოდგენებზე საიარულოდ. მაგრამ რანაირად შეიძლება სახალხო საქმის გაკეთება იმ კაცთან, რომელსაც ხელში „ჩოტკი" და „დავთარი" უჭირავს. მან პირველადვე (სექტემბერში), როცა ახლად ვიწყებდით წარმოდგენების მართვას, სიტყვიერი პირობა მოგვცა, სამ თუმანზე ზევით რაც შემოსავალი იქნება, თქვენი დასის სასარგებლოდ დარჩებაო. ეს დაპირება თურმე ყინულზე დაუწერია. სამ თუმანსაც წაემატა, ოთხსაც, ხუთსაც, ექვსაც და მეტსაც, მაგრამ მას ჩვენთვის გროშიც არ გადმოუცია. როდესაც ჩვენ ვაპირებდით თეატრის აღებას, მან ექვსი თუმანი დაგვიფასა თითო ღამე და აბა რანაირად მოახერხებდა ქართული დასი, რომ იაფფასიანი წარმოდგენები გაემართა, როდესაც უზომო გადასახადი წინ გაუგორა თეატრის ადმინისტრაციამ?!

რაც შეეხება სიტყვებს, რომ ჩვენ, სცენის მოყვარეებს ერთმანეთში ყოველთვის უთანხმოება გვქონდა, გავკადნიერდებით და მოვახსენებთ ბ-ნ დირექტორს, რომ თუ ყოფილა ოდესმე ამისი მსგავსი რამ ქართულ დასში, უდიდესი ბრალი თვითონ მიუძღვის. ზოგჯერ ქალები გვედავებოდნენ, ჩვენ ასე არ შეგვიძლიან თამაში, თუ კვირაში ორ-ორ მანეთს მაინც არ მოგვცემთ, რადგან შორის გზიდან დავიარებით და ყოველთვის ფეხით სიარული არ შეგვიძლიანო. ჩვენ კიდევ იმდენი შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენი ფული ვხარჯოთო. ამათ ფულის მიცემაზე ბ-ნი ხარაზიანი-კი ცივ უარსა გვტკეცავდა ხოლმე. იძულებული ვიყავით ჩვენის ჯიბიდან მიგვეცა და დაგვეკმაყოფილებინა ქალები, რისთვისაც სცენის მოყვარეებს თვიური გადასახადი გავაწერეთ. ყველა ასეთი მიზეზი თავს იყრიდა და სადაო საქმედ იქცეოდა ხოლმე, რაც უკმაყოფილებასა ჰბადებდა სცენის მოყვარეთა შორის. ბევრი ამბობდა: ამ გვარი უზომო მუშაობა შეუძლებელია ყოველთვის და უმჯობესი იქნება თავი დავანებოთო. მეორე ნაწილი ამას არ ეთანხმებოდა: რაც უნდა მოგვივიდეს განვაგრძოთ წარმოდგენებიო. აი, ალბად ამისთანა ამბები ელანდებოდა ბ-ნ დირექტორს უთანხმოებად და ერთმანეთის მტრობად. სწორედ იმას გვიკიჟინებს ჩვენ, რაც თავის არა საკადრისის საქციელით შენდებოდა ხოლმე.

არ დაგვიწყებია ერთი შემთხვევა. ყოველ ქართულ წარმოდგენაში ჩამოშვების დროს ფარდა შუაზე გაიხჩირებოდა ხოლმე, რაც მგონი ერთი ქართული გაზეთის რეცენზენტმაც-კი აღნიშნა. სწორედ ერთ ამნაირ შემთხვევის დროს მოთმინებიდან გამოსულმა ერთმა სცენის-მოყვარემ დირექტორს შენიშვნა მისცა, რამაც ისე ძლიერ გაარისხა ბ-ნი ხარაზიანი, რომ იმის აურ-ზაურს დასასრული აღარ მიეცა. იმისმა ყვირილმა მოთამაშენი მთლად დააბნია, ყველას გული აუცრუვდა. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა, მაგრამ მოთამაშენი რა დამნაშავები იყვნენ და, მით უმეტეს, რა დამნაშავედ უნდა ყოფილიყო მაყურებელი საზოგადოება?

ამო ხარაზიანი გვემდურის, ვითომ ჩვენ ვიცრუეთ და გაზეთში ის დავწერეთ, რაც მას არ უთქვამს. თუმცა გვიან, მაგრამ გვარიანად კი ასწორებს თავის შეცდომას. მე ვუთხარ, თუ არა გსურთ ამნაირად მუშაობა, დასტოვეთ სცენა მეთქი. მე მხოლოდ მარტო ამ დასის დათხოვნა მინდოდა და არა სამუდამოდ ქართულ წარმოდგენების შეჩერებაო. დასამტკიცებელ საბუთად ის მოჰყავს, რომ ეს ერთი ხანია მოლაპარაკება აქვს სცენის მოყვარეთა ერთ ჯგუფთან, რათა ახლა იმათ ამართვინოს წარმოდგენები, რადგან ჩვენ ბოლოს და ბოლოს ვერაფერი შვილები გამოვადექით და ურჩობა გავუწიეთ

საზოგადოდ, ჩვენ სცენის მოყვარეებს, საწინააღმდეგო არა გვაქვს-რა, თუ სცენის-მოყვარეთა ახალი დასი მოაწყობს ავლაბარში წარმოდგენებს. საჭიროა ოღონდ მათ მართლა შესტკიოდეთ გული სახალხო საქმისთვის და მარტო იმას არა სცდილობდნენ, თავიანთი თავი გამოაჩინონ სცენაზე. ჩვენი საფიქრებელი და სადარდელი მხოლოდ ერთად-ერთია. ის, რომ ბ-ნმა ხარაზიანმა ვარდის მოწყვეტის მაგიერ ეკლნარს არ მოავლოს ხელი. მკითხველი იფიქრებს, თქვენ რა გაწუხებთ, რა განაღვლებთო. ჩვენ მაინც და მაინც ხარაზიანის დარდის განაწილება კი არ გვინდა, ჩვენ გვაფიქრებს ის, ვაი თუ დაბრუნდეს ხელ-ახლა წარსული ოთხი წელი, როდესაც ავლაბარი მოფენილი იყო „სცენის მოყვარე" მაწანწალა ბიჭ-ბუჭებით; მაშინ ავლაბრის მცხოვრებთ თავ-პირს აჭამდნენ და ძალის-ძალად ბილეთებს აჩეჩებდნენ. ბილეთებიც მრავალი საღდებოდა ხელზე, წარმოდგენებიც უანგარიშო იდგმებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ავლაბრის თეატრები ნამდვილ „ბალაგანებად" გადაიქცნენ. ბევრი იყო ისეთი შემთხვევაც, რომ ბილეთები გაეყიდნოთ და წარმოდგენა კი არ გაემართოთ. აი, ამგვარ ამბების განმეორება გვაღონებს და გულს გვიწყლავს. როგორც სჩანს, ბ-ნი ხარაზიანიც სცდილობს ხელი შეუწყოს დასების გამრავლებას. აშკარაა, დღეს თუ ჩვენ ამოგვღო თვალში, ხვალ სხვას ამოიღებს, ზეგ კიდევ სხვასა და ასე ამნაირად სოკოებივით გაამრავლებს სცენის-მოყვარეთა უხეირო დასებს ავლაბარში.

იმ სცენის მოყვარეთ, რომელთაც იმედი აქვს ბ-ნ ხარაზიანს, თუ არა ვსცდებით, ჩვენი იქ ყოფნის დროსვე პირობა მისცეს ბ-ნ დირექტორს, რომ ახალი წრე უნდა შეედგინათ, მაგრამ აგერ სამი კვირა გავიდა, რაც ქართული წარმოდგენა არა ყოფილა და წრე ჯერაც არსადა სჩანს. ჩვენ თამამად ვამბობთ, რომ თუ იმ წრის წარმომადგენლები არ შეჰპირებოდნენ და ხარაზიანსაც იმედი არა ჰქონოდა, ჩვენ ასე სასტიკად არ მოგვექცეოდა და ასე უსაფუძვლოდ არ დაგვითხოვდა.

გზა დაგვილოცნია ახალ სცენის-მოყვარეთა წრისთვის. იქნებ, იმათ მაინც შეუწყონ სული და გული ხარაზიანს.

როგორც ხარაზიანის საპასუხო წერილში ვკითხულობთ, ჩვენ ქართულ სცენის მოყვარეებს, სამედიატორო სამართალში გვიწვევს და თხოულობს, რომ განაჩენი ყველა გაზეთებში დაიბეჭდოს. თანახმანი ვართ ბ-ნ ხარაზიანის წინადადებისა. ჩვენ მოხარულნიცა ვართ, რადგან მტყუანი და მართალი მხოლოდ ამ სასამართლოზე გამოჩნდება და საჯაროდ ფარდა აეხდება.

ამით ჩვენც ვათავებთ ყოველგვარ კამათს გაზეთებში ამ საგნის შესახებ.

ავლაბრის ქართულ დრამატ. ხელოვ. მოყვარეთა ამხ. გამგეობის წევრნი: **თ. ნასიძე, ი. მჭედლიშვილი, რ. ჯიბლაძე, რ. სალაყაია, ა. დავიდოვი.**

*) იხ. „დროება" N 23.

## რუსეთი

◆ **გენერალ დუმბაძის ბრძანება.** ამ დღეებში იალტის გრადონაჩალნიკს, გენერალ დუმბაძეს ბრძანება გამოუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერს: არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ იალტა ებრაელებით აივსო. კანონით ებრაელებს იალტაში იმ პირობით შეუძლიანთ ცხოვრება, თუ რაიმე ხელობას მოჰკიდებენ ხელს. მაგალითად, მეწაღე—ებრაელს იალტაში ცხოვრება შეუძლიან, თუ მარტო მეწაღეობას მიჰყობს ხელს. ნამდვილად კი ებრაელები სულ სხვანაირად იქცევიან. მეწაღე—ებრაელი მარტო მეწაღეობით კი არა კმაყოფილდება, ვაჭრობას ჰკიდებს ხელს და სხვა. კანონის გადახვევა ყველა ებრაელებს ჩვეულებად გადაექცათ. ჩემ მოვალეობად ვსთვლი, გავაფრთხილო ებრაელები. თუ პირველ თებერვლის შემდეგ ესეთი მოვლენა კიდევ შევნიშნე, დამნაშავეებს სასტიკად დავსჯი. პირველ თებერვალს ებრაელების დოკუმენტს შევამოწმებინებ.

◆ **შევჩენკოს ძეგლი.** მალოროსიის ცნობილ პოეტის შევჩენკოს ძეგლის ასაგებად უკვე 25,000 მანეთი შეუკრებიათ. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ადმინისტრაცია ხელის შეწყობის მაგიერ ფულის მოგროვებას ხელს უშლიდა. სხვათა შორის, კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს არ შეუწყნარებია კიევის ქალაქის თავის შუამდგომლობა, რომ მზრუნველს სასწავლებლებისთვის ნება მიეცა შევჩენკოს ძეგლის აგებაში თავისი წვლილი შეეტანათ.

◆ **რკინის გზებზედ.** სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში გზათა მინისტრის ამხანაგს განუცხადებია, სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს პირველ ივლისიდან რკინის გზის ბილეთების ფასი შეამციროსო.

◆ **მემარჯვენეთა დეპუტაცია.** სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მემარჯვენეებს გადაწყვეტილი აქვთ ხელმწიფე-იმპერატორთან განსაკუთრებული დეპუტაცია. გაგზავნიან და აცნობენ რუსეთის მდგომარეობას, რომელსაც, მემარჯვენეების სიტყვით, დიდი ხიფათი მოელის, რადგან სათათბირო რევოლიუციონურია. მემარჯვენეები სათათბიროს დათხოვნას ითხოვენ.

◆ **გადასახლებულების მდგომარეობა** დეპუტატ ბელოუსოვს მეორე სახელმწიფო სათათბიროს [illegible] დეპუტატისაგან, ვოზნესენსკისაგან (გადასახლებულია) შემდეგი წერილი მიუღია: წარმოუდგენელია გადასახლებულების გაჭირვება. გადასახლებულებს ისეთ ადგილებში გზავნიან, სადაც რაიმე სამუშაოს შოვნა ყოვლად შეუძლებელია. მეტადრე გაჭირვებაში არიან ისინი, რომელთაც არავითარი ხელობა არ იციან. მდინარე ლენაზედ რამდენიმე ასი გადასახლებული და იცი რას იღებენ? არაფერს. მხოლოდ ეს არის, რომ დამქირავებლები პურს აჭმევენო! თვითონ ვოზნესენსკი ზაფხულში ადგილობრივ გლეხებს ყანის მოსავლად დაუქირავებიათ, მაგრამ უჩვევს მალე ხელები ისე დაუჭრია, რომ მუშაობა შეუძლებელი გამხდარა.

◆ **ფინლიანდიაში.** „რუსკია ვედომოსტი" სწერს: უკანასკნელ დროს ფინლიანდიის იმ სოფლებში, სადაც მართმადიდებელი ფინები სცხოვრობენ, სინოდმა ისეთი მღვდლები დანიშნა რომელმაც ფინური არ იციან და მღვდელ-მსახურებას სლავიანურ ენაზედ ასრულებენ. ფინებმა შუამდგომლობა აღძრეს, ნება მოგვეცით ჩვენ თვითონ ავირჩიოთ მღვდლებიო, მაგრამ მათი შუამდგომლობა არ შეიწყნარეს. ეხლა მართმადიდებელმა ფინებმა გადასწყვიტეს და სისრულეშიაც მოიყვანეს, რომ არ იარონ იმ ეკლესიებში, სადაც მღვდელ-მსახურება სლავიანურ ენაზედ სრულდება. ამას გარდა, ფინები მღვდლებს არავითარ სასყიდელს არ აძლევენო.

◆ **ქალთა კლუბის შუამდგომლობა.** როგორც გვწერდით, პეტერბურგის ქალთა კლუბმა იუსტიციის მინისტრთან შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცით ქალებს, რომ ნაფიც-მსაჯულებად გამოვიდნენო. თავიანთ თხოვნაში ქალები, სხვათა შორის, სწერენ: ქალებს უფლება არა აქვთ ნაფიც-მსაჯულებად იყვნენ და ეს წარმოუდგენელი უსამართლობაა. კანონით ყველა წოდების და პროფესიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ნაფიც-მსაჯულებად იყვნენ. მხოლოდ ქალებს არ აქვთ ეს უფლება. ყველაფერი ეს ცუდად მოქმედებს სასამართლოს საბოლოო განაჩენზედ, რადგან განაჩენი მთელი საზოგადოების აზრის გამომხატველი კი არ არის, არამედ საზოგადოების ნახევრისა—მამაკაცებისა. ერთი სქესის წარმომადგენელს არ შეუძლიან მეორე სქესის სულიერ მდგომარეობის გაგება და აწონ-დაწონვა, როდესაც სასამართლოში ორი სქესის ინტერესების ერთმანეთს ხვდებიან, მაშინ სასამართლოში მარტო მამაკაცები არიან და ისინი სწყვეტავენ ამ საქმეს. ხშირად ხდება, რომ მამაკაცები ამართლებენ თავიანთ სქესის წარმომადგენლებს, როდესაც ეს უკანასკნელი ქალს რაიმე ზიანს აყენებენ და ამავე დროს ქალს სასტიკად სჯიან, როდესაც ქალი მამაკაცს რაიმე ზიანს უტანს. ნამეტან უსამართლობაა, როდესაც ქალს უფლებას არ აძლევენ მონაწილეობა მიიღოს ქალის ძალად გაუპატიურების საქმის გარჩევაში, ქალს ძალმომრეობის მსხვერპლად ჰხდიან და უფლებას კი არ აძლევენ თავი დაიცვანო.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ვარშავაში 3, ოდესაში 1, ეკატერინოსლავში 1, ეკატერინოდარში 2, უფაში 1 ვაჟს; სიკვდილით დასაჯეს: პეტერბურგში 1, ვარშავაში 2, უფაში 1, ეკატერინოდარში 2, ოდესაში 3 კაცი.

## წერილი რედ. მიმართ

„დროების" მე-284 ნომერში, რომელშიაც იყო დაბეჭდილი „მთავრობის მამასახლისები და მათი შენახვა" შეცდომა შემეპარა. სწერია: „ცხინვალის მომრიგებელ შუამავალი სწერს მამასახლისს: განცხადებისთვის საჭიროა სამი კუბიკური საჟენი შეშა და დაადგმევინეთო და სხვ." ეს შეეხება მომრიგებელ-შუამავალს სურამის რაიონისას.

Legatus.

---

(ანგარიში 14 იანვ. გამართულ საღამოზე)

სოხუმის განყოფილების გამგეობამ წერა-კითხვის ფონდის გასაძლიერებლად 14 იანვარს, წინოობას, გამართა ქართული საცეკვაო საღამო, რომელზედაც მოიწვია ყველა ის პირნი, ვინც ასე თუ ისე ამ საქმეს თანაუგრძნობს. რადგან განყოფილების დამტკიცების ქაღალდი ტფილისიდან გვიან მოგვივიდა და თუმცა საღამოს რიგიანად მოწყობის იმედი ნაკლებად გვქონდა, მაგრამ გამგეობის წევრთა და განსაკუთრებით გრაფ. სოლოგუბის, კნ. ან. ავალოსის, ქ-ნ ნინა თურქიას, პორ. ლოლუას და სხვათა მუყაითი შრომის გამო საღამო მშვენიერად მოეწყო საზოგადოება, განურჩევლად ეროვნებისა, ბლომად დაესწრო. სადგომი ისე გაიჭედა, რომ ტევა არ იყო. (ჩვენდა საუბედუროდ ამაზე დიდ შენობის შოვნა ვერ მოხერხდა) ბილეთებიდან და კერძო შემოწირულებიდან შემოვიდა სულ 551 მან. 50 კაპ. აქედან წმინდა შემოსავალი ფულად დარჩა გამგეობას სამას სამი მან. და 17 კაპ. რომელიც ინახება სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების კასსაში მიმდინარე ანგარიშით.

მთლად გამგეობა და კერძოთ გამგეობის თავმჯდომარე დიდს მადლობას უძღვნიან როგორც საღამოს გამართვის ხელის შემწყობთ, ისე მთელ სოხუმის საზოგადოებას თანაგრძნობისთვის.

თავმჯდომარე გამგეობისა **კნ. მ ნ. ან. ჩაბაძისა.**

მდივანი **ან. ჯუღელი.**

## კალენდარი

**თებერვალი 28 დღე**

# 2

ახალი სტილით 15

მთვარე 5 დღისაა

33 დღე წლის თავიდან. რჩება 332 დღე.

## სამშაბათი

**მართლმ.** † მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, უქმი.

**კათოლ.** † მირქმა უფლისა.

**გრიგორ.** წმ. ათორმეტთა წინასწარმეტყ.

**მაჰმად.** სე-შამ ე 4 რ. საფარისა. 1328 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელთა** იომშელიშ 6 რ. პირ. ადარისა 5670 წ. ქვეყნის შექმნ.


## განცხადებანი

## ძმ. ავსარქისოვების ბაღი

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ადრესი: Ст. Скра. (З. К. Ж. Д.). Авсаркисову. მსურველებს კატალოგებს უფასოდ ეგზავნება. (15—1024—2)




**მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ ფასიან საათებს! კარგი საათი ყოველთვის კარგ ფასადა ღირს. უკანასკნელი ამბავი პარიზისა.**

ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მან. ღირს, გირჩევთ შეიძინოთ მამაკაცის საუცხოვო საათი 3 დასახურით— „ხეცესია", რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, რადგან ელექტრონ. სამუალ. გადაკრული აქვს 14% სქელი ოქრო. მექანიზმი ამ საათისა ნამდვ. შვეიცარ., 15 ქვიანი, იმართება 40 საათში ერთხელ. ეს საათი ნამდ. ახალ ოქროსია და დაჯილდოვებულია ოქროს მედლით და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მ. 25 კ.** 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს, ჰგონია 250 მან. ღირსო. ვგზავნი შემოწმებ. საათს და ვკისრულობ პასუხის-მგებლობას 10 წლით. იგზავნება ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა ბაჟით 60 კ. (ციმბირში 90 კ.) ადრესი შეიძლება ამოიჭრას და მაგრა მიეკრას კონვერტს ან ღია წერილს.

| | | |
|---|---|---|
| Парижъ PARIS | 7 | S. Strumfeld B-ard St. Marcel 76 |

**უფასოდ** ვგზავნით ახალ ოქროსს კოხტა ძეწკვს და ზამშის ბუდეს საათისთვის. წერილის გამოგზავნა შეიძლება რუსულად, დაბეჭდილ წერილს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღიას—4 კაპ. (Метцль и К°. N 247).

(8—6.—7)